ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. აპრილის 27. № 9 ტფილისი.

შინაარსი

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

61. საქართველოს სსრ 1936 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ.

ფინანსები.

62. 1936 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივ ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების შესახებ.

## სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

### 61. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ 1936 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

საქართველოს სსრ-ის 1936 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა დამტკიცებულ იქნას შემდეგი რაოდენობითი და თვისებითი მაჩვენებლებით:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის კაპიტალურ დანახარჯთა საერთო მოცულობა განისაზღვროს 1936 წლისათვის 599,8 მილ. მან. რაოდენობით, ხოლო მშენებლობის ღირებულების საშუალო თერთმეტპროცენტიანი შემცირების ანგარიშში მიღებით—530,7 მილ. მან. რაოდენობით. რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მეურნეობის დარგების კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა დამტკიცდეს 188,7 მილ. მან. რაოდენობით, ხოლო მშენებლობის ღირებულების საშუალო თერთმეტპროცენტიანი შემცირების ანგარიშში მიღებით—167,8 მილ. მანეთის რაოდენობით.

სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ხაზით მიღებულ იქნას კაპიტალდაბანდებათა შემდეგი მოცულობა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | სულ (ათ. მანეთობით) | აქედან რესპუბლ. და ადგილ. ქვემდებ. დარგ. |
|---|---|---|
| ელექტრომშენებლობა . . . . . . . . | 84.314 | 350 |
| მრეწველობა . . . . . . . . . . . . | 198.422 | 41.174 |
| სასოფლო და წყალთა მეურნეობა . . . | 56.177 | 7.538 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა . . | 94.464 | 1.123 |
| ვაჭრობა . . . . . . . . . . . . | 10.091 | 3.880 |
| საბინაო-კომუნალური, სასტუმრო და ადმ. | 90.583 | 8'.410 |
| განათლება . . . . . . . . . . . . | 27.143 | 23.857 |
| ჯანმრთელობის დაცვა და კურორტები | 45.894 | 29.045 |

3. მრეწველობისა დ სასოფლო-სამეურნეო საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1926/1927 წ. უცვლელ ფასებში დამტკიცებულ იქნას 933,2 მილ. მანეთის რაოდენობით (ზრდა 1935 წელთან შედარებით—18,1%-ით), აქედან მრეწველობისა—664,8 მილ. მან. (ზრდა 21%-ით) და სასოფლო მეურნეობისა —268,5 მილ. მან. (ზრდა 11,5%-ით).

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დააზუსტოს სასოფლო მეურნეობის სართო პროდუქციის გამოშვების გეგმა მეცხოველეობის გეგმის დამტკიცების შემდეგ.

3. საერთო პროდუქციის გამოშვების საერთო მოცულობის—664,8 მილ. მან. რაოდენობით (1926/1927 წლ. ფასებში) დამტკიცებასთან ერთად მიღებულ იქნას პროდუქციის გამოშვების გეგმა მრეწველობის იმ დარგებისათვის, რომელნიც საწარმოო საშუალებებს აწარმოებენ,—255,6 მილ. მან. რაოდენობით (ზრდა 1935 წელთან შედარებით—20,7%-ით), და მრეწველობის იმ დარგებისათვის, რომელნიც სამომხმარებლო საშუალებებს აწარმოებენ,—409,2 მილ. მან. რაოდენობით (ზრდა 21,1%-ით). განისაზღვროს: ა) საერთო საკავშირო ქვემდებარეობის მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 288,9 მილ. მან. რაოდენობით (ზრდა 17,7%-ით), ბ) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის წამოწყებათა პროდუქციის გამოშვება 154,3 მილ. მან. რაოდენობით, გ) ელექტროენერგიის გამოშვება—28,2 მილ. მან. რაოდენობით, დ) სარაიონო და საქალაქო ქვემდებარეობის წამოწყებათა პროდუქციის გამოშვება—41,8 მილ. მან., ე) სხვა საუწყებო მრეწველობის პროდუქციის გამოშვება—61,6 მილ. მან. და ვ) შინა-სარეწაო კოოპერაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წამოწყებათა პროდუქციის გამოშვება—90 მილ. მანეთი.

4. დამტკიცებულ იქნას ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის მრეწველობის ხაზით წამოწყებებში ჩაბმულ მუშათა საერთო რიცხვი 16,995 კაცის რაოდენობით (ზრდა 1935 წელთან შედარებით 11,4%-ით), მუშის წლიური გამომუშავება—9,079 მანეთი (ზრდა 14,3%-ით), მუშის საშუალო-წლიური სამუშაო ხელფასი 1.988 მან. (ზრდა 6,4%-ით), და სამუშაო ხელფასის წლიური ფონდი 33.693 ათ. მან. თანხით (ზრდა 18,2%-ით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დამტკიცებულ იქნას პროდუქციის თვითღირებულების შემცირება: ა) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის მრეწველობის ხაზით 6,5 %-ით (აქედან მძიმე მრეწველობის ხაზით—13,1 %-ით, მსუბუქი მრეწველობის ხაზით—4,4 %-ით, თევზის მრეწველობის ხაზით—11,5%-ით და სატყეო მრეწველობის ხაზით— 6,1 %-ით), ბ) ღარიბ ებრაელთა კომიტეტის სისტემის ხაზით—6,8%-ით, გ) საქართველოს მინერალური წყლების სამმართველოს სისტემის ხაზით—9,15%-ით, დ) საავთიაქო სამმართველოს სისტემის ხაზით—5%-ით და ე) სახკინმრეწვის სისტემის ხაზით—17, %-ით.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

ა) 15 დღის ვადაზე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად იმ ღონისძიებათა გეგმა, რომელნიც უზრუნველჰყოფენ საქალაქო და სარაიონო ქვემდებარეობის მრეწველობისათვის საორგანიზაციო-სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობის გაწევის გაძლიერებას:

ბ) 10 დღის ვადაზე წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად 1936 წელს ნედლეულისა და განწყობილების გამოყენების ტექნიკურ-საწარმოო მაჩვენებელთა გეგმა, დამტკიცებული საწარმოო პროგრამის შესაბამისად, და აგრეთვე ფართო მოხმარების უმნიშვნელოვანესი საქონლის წარმოების ძირითადი ასორტიმენტების პროგრამა.

7. სათესი ფართობების საერთო რაოდენობა 1936 წ. განისაზღვროს 972 ათ. ჰექტარით (წინა წლების ნათესი ბაღახების ჩათვლით). აქედან: საშემოდგომო მარცვლეული—275,4 ათ. ჰა, საგაზაფხულო მარცვლეული—554,3 ათ. ჰა, ტექნიკური კულტურები—43,849 ჰა, (აქედან თამბაქო—19,400 ჰა, შაქრის ჭარხალი—5,587 ჰა, ბამბა—4,500 ჰა, მზესუმზირა—9,94 ჰა) ბოსტნეულ-ბახჩეული—42,459 ჰა, საქონლის საკვები—44,982 ჰა.

8. დამტკიცებულ იქნას 1936 წლისათვის შემდეგი დავალებანი მოსავლიანობაში ერთ ჰექტარზე: საშემოდგომო ხორბალი—11,5 ცენტნერი, საგაზაფხულო ხორბალი—9,5 ც, საშემოდგომო ქერი—11 ც, საგაზაფხულო ქერი—12 ც, სიმინდი—14 ც, თამბაქო 7,98 ც, შაქრის ჭარხალი—217 ც, ბამბა 10 ც, მზესუმზირა—9 ც, მევენახეობა—39,5 ც, მეხილეობა—63,2 ც, ჩაი (მწვანე ფოთ.)—1,548 კგ. (აქედან სრ. საკ. ტრესტ. „ჩაი-გრუზიასათვის—1.600 კგ).

9. ზემოთ მიღებული სათესი ფართობებისა და მოსავლიანობის საფუძველზე განისაზღვროს 1936 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება შემდეგი რაოდენობით: მარცვლოვანი კულტურები—10.323,4 ათ. ცენტნერი, პარკოვანი—270,5 ათ.ც, თამბაქო—154,8 ათ. ც, ბამბა—45,9 ათ. ც, შაქრის ჭარხალი—1005,7 ათ. ც, კარტოფილი—1776,4 ათ. ც, ჩაი (მწვანე ფოთოლი) 18,678,4 ათ. კგ, ციტრუსები—240 მილ. ცალი, ვენახი—1,465 ათ. ც, ხილი—1,143,9 ათ. ც.

10. მრავალწლიან ნარგავთა ჩაყრის გეგმა 1936 წლისათვის განისაზღვროს 13,171,7 ჰექტარის რაოდენობით (გარდა ამისა, სანერგეების ჩაყრა—741,4

ჰა), მათ შორის: ჩაი—4000 ჰა (აქედან საკავშირო ტრესტი „ჩაი-გრუზიას" ხაზით—375 ჰა და საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორის ხაზით—3625 ჰა), ციტრუსები—392 ჰა (აქედან საბჭოთა მეურნეობებში—148,5 ჰა და საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში—246,5 ჰა), სუბტროპიკული ხეხილი—351,39 ჰა (აქედან საბჭოთა მეურნეობებში—12,7 ჰა და საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში—300 ჰა), რამი—500 ჰა (აქედან საბჭოთა მეურნეობებში—100 ჰა და საკოლმეურნეო-საგლეხო მეურნეობებში—400 ჰა), ტუნგი—3,145 ჰა (საბჭოთა მეურნეობებში—645 ჰა და საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში—2500), ვენახები—751 ჰა (საბჭოთა მეურნეობებში—101 ჰა და საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორი—650 ჰა), ბაღები—4,331 ჰა (საბჭოთა მეურნეობებში—31 ჰა და საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში—4.300 ჰა).

**11.** საცალო საქონელბრუნვის მოცულობა განისაზღვროს 1.850 მილ. მან. თანხით (ზრდა 1935 წელთან შედარებით 15,1 %-ით), აქედან ქალაქად—1.414,7 მილ. მან. და სოფლად—435,3 მილ. მან.).

საცალო საქონელბრუნვა განისაზღვროს: ა) კოოპერაციის ხაზით—530,45 მილ. მან. თანხით, ბ) სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით—1.298,2 მილ. მანეთის თანხით, გ) საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხაზით—21,35 მილ. მან.

**12.** სავაჭრო ქსელის გაშლის გეგმა 1936 წლისათვის მიღებულ იქნას შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით: სავაჭრო წერტების საერთო რიცხვი—6,052, აქედან ქალაქად—3295 და სოფლად—2756.

**13.** მიმოქცევის ხარჯების პროცენტი საერთო საქონელბრუნვის მიმართ განისაზღვროს ცეკავშირის სისტემის ხაზით—13,75 %-ით და სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის ხაზით—8,16 %-ით.

**14.** დამტკიცებულ იქნას შემდეგი მაჩვენებლები კომუნალური მეურნეობის ხაზით: ა) ქ. ტფილისი—მომხმარებელთათვის წყლის მარგი მიწოდება—12.250 კბ. მ, ტრამვაით გადაყვანილი სასყიდლიანი მგზავრების რაოდენობა—123 მილ. კაცი, ავტობუსებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა—7.875 ათ. კაცი, ელექტროენერგიის მარგი მიწოდება—89,8 მილ. კვს, მწვანე ნარგავთა ფართობი 1936 წლის დასასრულისათვის 129,8 ჰექტარი და ბ) სხვა დიდი ქალაქები: მომხმარებელთათვის წყლის მარგი მიწოდება—3,980 ათ. კბ. მ, ავტობუსებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა—30/4,4 ათ. კაცი, ელექტროენერგიის მარგი მიწოდება—13,5 მილ. კვს, ქუჩების გასასვლელი ნაწილის ზედაფენის საერთო ფართობი—2063 კვ. მეტრი.

**15.** დამტკიცებულ იქნას 1936 წლისათვის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მოსწავლეთა საერთო რიცხვი 649,6 ათ. კაცის რაოდენობით, სკოლამდე აღზრდის საქალაქო დაწესებულებებში მყოფი ბავშვების საერთო რიცხვი—27 ათ. კაცი, სკოლამდე აღზრდის სასოფლო დაწესებულებებში მყოფი ბავშვების საერთო რიცხვი—24 ათ. კაცი, საბავშვო სახლებში აღსაზრდელი ბავშვების საერთო რიცხვი—37 ათ. კაცი, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო დაწესებულებების მოსწავლეთა საერთო რიცხვი—70

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათ. კაცი და წერა-კითხვის მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო დაწესებულებე-ბის მოსწავლეთა საერთო რიცხვი—75 ათ. კაცი.

**16.** დამტკიცებულ იქნას განათლების სახალხო კომისარიატის საკლუბო დაწესებულებათა საერთო რაოდენობა—1062, საკოლმეურნეო კლუბების საერ-თო რიცხვი—457, განათლების სახალხო კომისარიატის ბიბლიოთეკათა საერთო რიცხვი—94 (აქედან სარაიონო—44), თეატრალური დასების საერთო რიც-ხვი 38 (აქედან 29 სტაციონარული და 9 მოძრავი), ცირკი—2, მუსიკალური კოლექტივი—19, კინოდანადგამი—528 (ხმოვანი 106 და მუნჯი 422).

**17.** საავადმყოფოთა საწოლების რიცხვი, ფსიქიატრულ დი ეპიდემიურ სა-ავადმყოფოთა საწოლების გამოკლებით, 1936 წელს 7.227 კაციდან გადიდებულ იქნას 8.249 კაცამდე. განისაზღვროს 1936 წლისათვის ჯანმრთელობის სახალ-ხო კომისარიატის ხაზით სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებათა რიცხ-ვი—150, სრული საექიმო ერთეულების რიცხვი—2140, დამოუკიდებელი სა-ფერშლო პუნქტების რიცხვი 166, კბილის საექიმო სავარძელთა რიცხვი—215, საექიმო პუნქტების რიცხვი წამოწყებებში—215, საწოლების რიცხვი მუდმივ ბაგებში—6700 და სეზონურ ბაგებში (მაქსიმალური გაშლის დღისათვის) 20.000.

**18.** 1926 წელში მიღწევინებულ იქნას სანატორიუმებისა და დასასვენებე-ლი სახლების რიცხვი 49-მდე, მათში საწოლების რიცხვი—6833-მდე., საწოლ-დღეთა რიცხვი 1500 ათასამდე და მომსახურება-გასაწევი ავადმყოფებისა და დასასვენელ პირთა რიცხვი 59.957-მდე.

## II.

**1.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) 10 დღის ვადაზე წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად შრომის გეგმა 1936 წლისათვის;

ბ) არა უგვიანეს ა/წ. მარტის 29-ისა წარუდგინოს საქართველოს სსრ სა-ხალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მშენებლობის ობიექტების დაზუსტებული სატიტულო სიები, ამასთანავე, დაფერენცირებულ იქნა თვითეული ობიექტის მშენებლობის სახარჯთ-აღრიცხვო ღირებულების დავალებანი;

გ) არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 1-ისა წარედგინოს საქართველოს სსრ სა-ხალხო კომისართა საბჭოს მშენებლობის იმ ობიექტების სია, რომელნიც ჩა-ბმულ იქნებიან ექსპლოატაციაში 1936 წ., ექსპლოატაციაში ჩაბმის ვადის ზუს-ტად აღნიშვნით.

**2.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ კაპიტალური მშენებ-ლობის გეგმის შესრულებას, მშენებელ ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესე-ბას (მათი გამსხვილება, მათთვის ძირითადი და საბრუნავი სახსრების მიცემა და სხვ.), მშენებლობის თვითღირებულების შემცირებას საშუალოდ არა ნაკლებ

11%-ისა 1935 წლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან შედარებით, მშენებ-ლობის დაპროექტების სწორედ დაყენებას.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ ყველა უწყებას და ორგანიზაციას მიიღოს ურყევად შესრულებისათვის დამტკიცებული სახალხო-სამეურნეო გეგმა და, მშრომელი მასების აქტივობის მაქსიმალურად გამოყენებისა და სტახანოვური მოძრაობის ყოველმხრივად წახალისების საფუძველზე, უზრუნველყონ 1936 წლის გეგმის შესრულება და გადაჭარბებით შესრულება ყველა რაოდენობითი და თვისებითი მაჩვენებლის მხრით.

სსრ. საქ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

სრ საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1936 წ. მარტის 25. № 128/298.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 71 №-ში 1931 წ. მარტის 27.

---

## ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

## 62. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**1936 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ-ის 1936 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ჯუმლი დამტკიცებულ იქნას შემდეგ თანხებში (ათას მანეთობით):

### შემოსავალი:

| | | |
|---|---|---|
| ბრუნვის გადასახადი და საბიუჯეტო წანაფასები | 398.017,0 | ათ. მან. |
| მოგების ანარიცხი . . . . . . . . . . . . | 8.688.3 | „ „ |
| სხვადასხვა გადასახადი განსაზოგადოებული მეურნეობისა . . . . . . . . . . . . . . | 9.955,0 | „ „ |
| სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური კომიტეტებისაგან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრიდან სოციალურ კულტურული ღონისძიებებისათვის მიღებული შემოსავალი . . . . . . . . . | 42.174,0 | „ „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| მოსახლეობის სახსართა მობილიზაცია . . . . | 55.759,0 | ათ. | მან. |
| სხვადასხვა შემოსავალი . . . . . . . . . . | 1.400,0 | „ | „ |
| 1935 წლის საბიუჯეტო სახსართა ნაშთი . . . | 5.370,0 | „ | „ |
| სულ შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტით | 521.363.3 | „ | „ |

## გ ა ს ა ვ ა ლ ი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1) სახალხო მეურნეობის დაფინანსება . . . . | 67965,5 | ათ. | მან. |
| ა ქ ე დ ა ნ: | | | |
| ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობა . . . . . . . . . . . . | 22.037,0 | „ | „ |
| კინო-ფოტომრეწველობა . . . . . . . . | 12.985,0 | „ | „ |
| მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფი სასოფლო მეურნეობა . . . | 29.712.9 | „ | „ |
| (ტრესტირებული საბჭოთა მეურნეობანი 18.242.0 ათ. მან., სახლონისძიებანი—5.493,0 ათ მან., წყალთა მეურნეობა 4.277,0 ათ. მან., სამეურნეო ორგანოები 1.115.9 ათ. მან. | | | |
| კომუნალური მეურნეობა . . . . . . . . . . . | 1.747,0 | „ | „ |
| სახალხო მეურნეობის დაფინანსების სხვა ხარჯები . . . . . . . . . . . . . . . . . | 1.483,6 | „ | „ |
| 2) სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი . . | 145.242,7 | „ | „ |
| ა ქ ე დ ა ნ: | | | |
| განათლება . . . . . . . . . . . . . . . | 105.380,0 | „ | „ |
| ჯანმრთელობის დაცვა (უკურორტებოდ) . . . | 25.269.7 | „ | „ |
| კურორტები . . . . . . . . . . . . . . . | 11.555,0 | „ | „ |
| ფიზიკური კულტურა . . . . . . . . . . | 740,0 | „ | „ |
| სოციალური უზრუნველყოფა და შრომის დაცვა | 2.298,0 | „ | „ |
| 3) მმართველობა, სახალხო მეურნეობის მოწესრიგება და სოციალურ-კულტურული მუშაობის ადმინისტრირება . . . . . . . . . . . . | 9.026,0 | „ | „ |
| 4) სხვა ხარჯები . . . . . . . . . . . . . | 6.157,5 | „ | „ |
| ა ქ ე დ ა ნ: | | | |
| სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდი | 1.500,0 | „ | „ |
| სხვა ფონდები . . . . . . . . . . . . . | 4.657,5 | „ | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) საერთო-საკავშირო ბიუჯეტისადმი დავალიანების დაფარვა . . . . . . . . . . . . . 5.000,0 ათ. მან.
6) საკრედიტო სალდოს დაფარვა . . . . . . 5.370,0 „ „
7) ადგილობრივი ბიუჯეტისათვის გადასაცემი სახსარი . . . . . . . . . . . . . . . . 282.601,6 „ „

ა ქ ე დ ა ნ:

სოციალური დაზღვევის სახსარი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის . . . . . . . 30,430,0 „ „

სულ გასავალი სახელმწიფო ბიუჯეტით . 521.363,3 ათ. მან.

7. საქართველოს სსრ-ის 1936 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრები დამტკიცებულ იქნას შემდეგ თანხებად:

### შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი

1) მრეწველობა . . . . . . . . . . . . . . . 2.078,3 ათ. მან.
2) სასოფლო მეურნეობა . . . . . . . . . . . 1.392,4 „ „
3) სატყეო მეურნეობა . . . . . . . . . . . 2.930,0 „ „
4) კომუნალურ-საბინაო მეურნეობა . . . . . . 38.698,9 „ „
5) ვაჭრობა . . . . . . . . . . . . . . . . 146,0 „ „
6) სხვა ადგილობრივი არასაგადასახადო შემოსავალი . . . . . . . . . . . . . . . . 5.805,0 „ „

ა ქ ე დ ა ნ:

სამეურნეო ორგანოების სახსარი საბავშო ბაღებისა და ბაგებისათვის . . . . . . . . . . . 1.700,0 „ „
7) ადგილობრივი გადასახად-გამოსაღები . . . . 12.650,0 „ „
8) სახელმწიფო გადასახადების და სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები . . . . . . . . . 64.300,1 „ „

ა ქ ე დ ა ნ:

ა) თამბაქოს ნედლეულის გადასახადი . . . . . 1.500,0 „ „
ბ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი . . . . . . 18650,0 „ „
გ) კულტურული გამოსაღები სოფლად . . . . . 11.500,0 „ „
დ) „ „ ქალაქად . . . . . 7.531.6 „ „
ე) მასურ სესხთა ანარიცხები . . . . . . . . . 19.759,0 „ „
9) სახელმწიფო გადასახად-გამოსაღები და ბაჟი, რაც უშუალოდ ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში . . . . . . . . . . . . . . . . . 34.117,0 „ „

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ქ ე დ ა ნ:

| | | |
|---|---|---|
| ა) კერძო პირთა საშემოსავლო გადასახადი . . . | 25.590,0 | ათ. მან. |
| ბ) ერთიანი სახელმწიფო ბაჟი . . . . . . . . | 4.100,0 | „ „ |
| 10) სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსარი | 30.430,0 | „ „ |
| 11) ს ე ს ხ ი . . . . . . . . . . . . . . | 14.754,0 | „ „ |
| 12) საბიუჯეტო სახსართა ნაშთები . . . . . . | 2.722,2 | „ „ |
| 13) ანარიცხები ბრუნვის გადასახადისა . . . . | 188.451,0 | „ „ |
| სულ შემოსავალი . . . . . . . . . . . | 398.474,9 | „ „ |

გ ა ს ა ვ ა ლ ი

| | | |
|---|---|---|
| 1) მრეწველობა . . . . . . . . . . . . . . | 3.032,3 | ათ. მან. |
| 2) სასოფლო მეურნეობა . . . . . . . . . . | 8.497,6 | „ „ |
| 3) სატყეო მეურნეობა . . . . . . . . . . | 231,3 | „ „ |
| 4) კომუნალურ-საბინაო მეურნეობა . . . . . | 86.267,5 | „ „ |
| 5) ვაჭრობა . . . . . . . . . . . . . . . | 200,0 | „ „ |
| 6) გზატკეცილები და ყამირგზები . . . . . | 1.985,0 | „ „ |
| 7) სახალხო კავშირგაბმულობა . . . . . . . | 1.390.0 | „ „ |
| 8) განათლება . . . . . . . . . . . . . | 148.190,3 | „ „ |
| 9) ჯანმრთელობის დაცვა . . . . . . . . . | 83.693,5 | „ „ |
| 10) ფიზიკური კულტურა . . . . . . . . . | 1.973,5 | „ „ |
| 11) სოციალური უზრუნველყოფა . . . . . . | 1.805,0 | „ „ |
| 12) თავდაცვა . . . . . . . . . . . . . | 1.793,3 | „ „ |
| 13) საერთო მმართველობა . . . . . . . . | 36.672,0 | „ „ |
| 14) სასამართლო დაწესებულებანი . . . . . | 3.300,6 | „ „ |
| 15) სარეზერვო ფონდი . . . . . . . . . | 4.788,5 | „ „ |
| 16) სესხთან დაკავშირებული ხარჯები . . . | 11.488.5 | „ „ |
| 17) სხვადასხვა ხარჯი . . . . . . . . . . | 3.166,0 | „ „ |
| სულ გასავალი . . . . . . . . . . . | 398.474,9 | „ „ |

3. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ-ში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტები შემდეგ თანხებად:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1) ა ბ ა შ ი ს | რაიონი . . . . . . . | 2276,5 | ათ. მან. |
| 2) ამბროლაურის | „ . . . . . . . . . | 2762,5 | „ „ |
| 3) ადიგენის | „ . . . . . . . . . | 2047,9 | „ „ |
| 4) ახალციხის | „ . . . . . . . . . | 3159,3 | „ „ |
| 5) ახალქალაქის | „ . . . . . . . . . | 3401,5 | „ „ |
| 6) ალბულახის | „ . . . . . . . . . | 2448,5 | „ „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 7) ასპინძას | რაიონი | 1866,2 | ათ. მან. |
| 8) ბაღდადის | " | 1632,4 | " " |
| 9) ბოგდანოვკის | " | 1993.8 | " " |
| 10) ბორჩალოს | " | 2520.6 | " " |
| 11) ბაშკიჩეთის | " | 1811.5 | " " |
| 12) ბორჯომის | " | 2682.1 | " " |
| 13) გორის | " | 5315.2 | " " |
| 14) გურჯაანის | " | 3680.9 | " " |
| 15) დუშეთის | " | 2635.7 | " " |
| 16) ვანის | " | 1942.9 | " " |
| 17) ზემო-სვანეთის | " | 1689.0 | " " |
| 18) ზუგდიდის | " | 4213.2 | " " |
| 19) თელავის | " | 4597.0 | " " |
| 20) თიანეთის | " | 1446.3 | " " |
| 21) კასპის | " | 2470.4 | " " |
| 22) ლაგოდეხის | " | 2231.6 | " " |
| 23) ლანჩხუთის | " | 2369.5 | " " |
| 24) ლუქსემბურგის | " | 2499.4 | " " |
| 25) მარტვილის | " | 2650.5 | " " |
| 26. მახარაძის | " | 4384.2 | " " |
| 27) მიხა ცხაკაიას | " | 3253.4 | " " |
| 28) ო ნ ი ს | " | 2178.2 | " " |
| 29) სამტრედიის | " | 2984.5 | " " |
| 30) სიღნაღის | " | 5323.3 | " " |
| 31) საგარეჯოს | " | 2068.4 | " " |
| 32) ტფილისის | " | 3447.6 | " " |
| 33) ტყიბულის | " | 2206.2 | " " |
| 34) ქვემო-სვანეთის | " | 1368.7 | " " |
| 35) ყარაიას | " | 1288.2 | " " |
| 36) ყვარელის | " | 2244.5 | " " |
| 37) ყაზბეგის | " | 1542.5 | " " |
| 38) ჩოხატაურის | " | 2621.6 | " " |
| 39. ჩხარის | " | 1663.9 | " " |
| 40. ჩხოროწყუს | " | 1738.3 | " " |
| 41. ცაგერის | " | 1886.2 | " " |
| 42. წალენჯიხის | " | 1752.5 | " " |
| 43. წალკის | " | 1886.6 | " " |
| 44. ჭიათურის | " | 6137.6 | " " |
| 45. ხაშურის | " | 4967.8 | " " |
| 46. ხორაგაულის | " | 2084.2 | " " |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 47. ხონის | რაიონი | 2450.9 | ათ. | მან. |
| 48. ხობის | „ | 1644.7 | „ | „ |
| 49. ჯუღლის | „ | 3617.3 | „ | „ |
| 50. აფხაზეთის ასსრ | „ | 49.440,1 | „ | „ |
| 51. აჭარის ასსრ | „ | 30.171,9 | „ | „ |
| 52. სამხ.-ოსეთ. | „ | 16.370,7 | „ | „ |
| 53. ქალ. ტფილისი | | 131.814.4 | „ | „ |
| 54. „ ქუთაისი | | 14.002,9 | „ | „ |
| 55. „ ფოთი | | 5.167,3 | „ | „ |

**4.** დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გაანაწილოს ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის გაუნაწილებელი ხარჯები 4.509,0 ათასი მან. რაოდენობით, აგრეთვე ბიუჯეტში შემოსასვლელი სახსარი სოციალური დაზღვევისა 30.430 ათასი მანეთის რაოდენობით და საბავშვო ბაღებისა და ბაგების შესანახი სახსარი სამეურნეო ორგანიზაციებისა 1.700 ათასი მანეთის რაოდენობით.

**5.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასადები ანარიცხები ბრუნვის გადასახადისა და საბიუჯეტო წანაფასებისა განისაზღროს 396.307,0 ათასი მანეთით, აქედან ადგილობრივ ბიუჯეტებში გადასადები ანარიცხები ბრუნვის გადასახადისა—188.451,0 ათასი მანეთით.

**6.** დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასადები, ბრუნვის გადასახადის სა-პროცენტო ანარიცხების განსაზღვრის შემდეგ, ადგილობრივი ბიუჯეტების უდეფიციტო დაბალანსებისათვის განსაზღვროს ბრუნვის გადასახადისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა საშემოსავლო წყაროების ანარიცხების პროცენტი საქართველოს სსრ-ში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტებისათვის.

7. საქართველოს სსრ-ის 1936 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ შემოსავალთა სრულად მიღების უზრუნველსაყოფად დაევალოს ყველა სამეურნეო ორგანიზაციას, მუშაობის სტახანოვური მეთოდების ფართოდ გაშლისა და წამოწყებებში ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის ურყევად განხორციელების საფუძველზე, მიაღწიოს იმას, რომ დაგროვების გეგმა და ყველა თავისი საბიუჯეტო ვალდებულება მთლად იქნას შესრულებული.

8. წინადადება მიეცეს სამეურნეო სახალხო კომისარიატებს უზრუნველყონ სრულიად და თავის დროზე აკუმულირება სპეციალურ ბანკებში სამეურნეო ორგანოების იმ საკუთარი სახსრისა, რაც დანიშნულია კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებისათვის.

**9.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაავალოს სპეციალურ ბანკებს გაძლიერებული კონტროლი გაუწიონ ყველა, გამოუკლებლივ, საშენებელს, რათა მათ დაიცვან სახარჯთაღრიცხვო დისციპ-

ლინა და შეასრულონ მშენებლობის ღირებულების შემცირების შესახებ 1936 წლისათვის მიცემული დავალიანებანი.

**10.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას—შეწყვიტონ იმ სამეურნეო ორგანიზაციების დაფინანსება და დაკრედიტება, რომელნიც წარმართავენ საკუთარ საბრუნავ სახსარს და მათთვის მიცემულ კრედიტებს კაპიტალდაბანდებათა გეგმით გაუთვალისწინებელ მატერიალურ ღირებულებათა გეგმაგარეშე დაგროვებისათვის ან საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯებისათვის.

**11.** დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საშტატო კომისიას—გადასინჯოს ყველა რესპუბლიკური ცენტრალური დაწესებულების შტატი, სამუშაო ხელფასის ფონდები და საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯები და ზედმიწევნით შეუთანხმოს საბიუჯეტო დანიშნულებათ.

**12.** ადგილობრივი ბიუჯეტების განმტკიცებისა და მათი სისავსის შენარჩუნებისათვის, ნებადართულ იქნას ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ცენტრალიზაცია 1936 წელს მხოლოდ რკინის გზების სკოლებისა, სახანძრო თავდაცვის საოპერაციო ხარჯებისა და კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების მხრივ. სხვა ხარჯების ცენტრალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

**13.** მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაზღვროს 1936 წლისათვის ერთი ბავშვის შენახვის ნორმები და სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა და ბაგათა შესანახად საჭირო ასიგნვების რაოდენობა, და აგრეთვე ამ ღონისძიებათა დაფინანსების წყაროები; ამასთანავე, ანგარიშში მიღებულ უნდა იქნას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახსარი (სოციალური დაზღვევის, სამეურნეო-ორგანოების, მშობლების სახსარი, საბიუჯეტო სახსარი და სხვ.).

**14.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ-ში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საიაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, რათა:

ა) 1936 წ. ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და შესრულების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების გადიდება შეუწყნარებელია, და რომ საბოლოოდ მოსპობილ უნდა იქნას ამ ხარჯების ბიუჯეტის სხვა მუხლებით გატარების პრაქტიკა;

ბ) ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ზუსტად შეთანხმებულ იქნას შტატები და სამუშაო ხელფასის განაკვეთები ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულ დანიშნულებებთან;

გ) არავითარ შემთხვევაში არ იქნან გაფართოებული და მოწყობილი დაწესებულებანი, რომელნიც უზრუნველყოფილნი არ არიან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით, არ იქნას გადიდებული კონტინგენტები და სხვა საბიუჯეტო მაჩვენებლები და მთლიანად იქნას დატოვებული 1936 წლისათვის განსაზღვრული ხარჯების ნორმები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) შეტანილ იქნას მათ მიერ დამტკიცებულ სასოფლო ბიუჯეტებში ის ცვლილებები, რაც გამომდინარეობს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 4-ის დადგენილებიდან „სასოფლო ბიუჯეტების საშემოსავლო წყაროების გაფართოების შესახებ“, ამა დადგენილებიდან და ხარჯების იმ ნორმებიდან, რაც საფუძვლად უდევს ამა დადგენილებით 1936 წლის ადგილობრივი ბიუჯეტისათვის დამტკიცებულ საკონტროლო ციფრებს.

**15.** საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის ყოველმხრივ გაძლიერებისათვის წინადადება მიეცეს:

ა) უწყებებსა და ორგანიზაციებს—მტკიცედ დაიცვან საბიუჯეტო დანიშნულებანი ყველა დარგში და ღონისძიებაში და არავითარ შემთხვევაში არ დახარჯონ ზედმეტი თანხები;

ბ) სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ დაწესებულებებს—მოაწყონ, მათთვის განსაზღვრული შტატების ფარგლებში, საუწყებო-საფინანსო კონტროლი და უზრუნველყონ სრული დოკუმენტალური რევიზიის გაწევა მათ ქვემდებარე დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის წელიწადში ერთხელ მაინც;

გ) საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს-მოაწყოს საფინანსო-საბიუჯეტო ინსპექციის მუშაობა ისეთი ვარაუდით, რომ 1936 წლის განმავლობაში მთლიანად მოცულ იქნას დოკუმენტალური რევიზიით საქართველოს სსრ ყველა რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი და ცენტრალური დაწესებულება, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქებისა და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტები.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. თებერვლის 13. № 129/299.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 47 №-ში 1936 წ. თებერვლის 26.

---

**ფასი 20 მან.**

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 17. პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 7/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 29/III ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IV ტირაჟი 1900

თავლ. რწმ. № 87048 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. შეკვ. № 322